

72/2
87

ISSN 0132-5965

ՕՐԻՆԱԿՈՒՅՑ
ՏԵՐԱՎԻՐԺՈՒՅՑ



1987 ՈՅԼՈՒՆՈ №7



1140



გვით გეგმებორი

„ჩემო კარგო ქვეყანავ...“ „1871 წელი, 23 მაისი“. ქართული ბაბკი. „წერა-კითხვის გამაფრცელებელი საზოგადოება“.. „მეუელირი“.. „ივერია“.

უშეთში მომრიცხელ მოსამართლე ილია ჭავჭავაძემ სუთი წელი იმუშავა. ამ დროს თბილისში ქართველი მოღვაწე მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე იგონებს:

— ახალი თაობა გახეთ „დროებისა“ და უურნალ „კრებულის“ გარშემო შემოიკრიბა.

ახალი თაობის სიკა-

ისე ქავება 150.

რგით გამხნევებულმა ილიამ 1872 წელს დაწერა ლექსი, რომელშიც თავის სამშობლოს მიმართავდა: ჩემო კარგო ქვეყანა, რაზედ მოგიწყენა? აშშყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია, რადგან ისეთი ახალგაზრდა მამულიშვილები გახვევიან გარს, რომლებიც შენს დიდებას აღადგენენ. მათ თავდავიწყებით უყვარხარ, მხოლოდ შეწევ ფიქრობენ და ზრუნავენ, და შენვის მტერს შეკვდებიან.

მაშინდელმა ახალმა თაობამაც კარგად იცოდა ილიას ფასი.

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე იგონებს:

— ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაკერე, დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ, ისევ ქართულ მწერლობას დაუბრუნოთ და ქართული საქმეების სათავეში ჩავა-

ყენოთ-მეოქი... ამ მიზნით სუთერ მაინც ავსულვართ დუშეთი... ბევრებრ დაგვიპატიუნია: მოდი, მეთაურად გავიხდი, გვიწინამძღვრებეთქი.

გრძ ისევ დუშეთში ყოფნისას დაწერა ილიამ ლექსი „1871 წელი, 23 მაისი“, რომლითაც პარიზის კომუნის დაცემას გამოეხმაურა. სულ რაღაც ორთვენახევარი იარსება კომუნამ—ფრანგი რევოლუციონერების ამ მთავრობამ—, ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მსსნელი“ მისი დროშა ისევ დაბლა დასცეს მჩაგვრელებმა, კვლავ შეუცერხდა ისტორია, შედგნენ განახლების ძალები, და კვლავ დაიღვარა წამებულთა წმინდა სისხლი.

იქნებ თქვენ წაგიცითხავთ ნაწყვეტი ფრანგი მწერლის ვიქტორ შიუგოს რომანიდან „განწირულნი“, რომელიც თორმეტი წლის ბიჭუნას —

გავროშის შესახებ მოგ-
ვითხოდბს.

ქუჩებში უთენდებო-
და და უღამდებოდა გა-
ვროშ—აჯანყებულების
მიერ აღმართულ ბარიკა-
დებზე. მან არ იცოდა ში-
ში, ტყვიების ჰუჭუნში
ბარიკადიდან გამოდიო-
და და ქვაფენილზე
ტყვიებს აგროვებდა, თან
სიმღერით იმსხევებდა
თავს, ბოლოს კი ტყვიით
განგმირული დაეცა.

რამდენი ასეთი მსხვე-
რპლი შეუწირავს თავი-
სუფლებისათვის ბრძო-
ლას სხვადასხვა დროს,
სხვადასხვა ქვეყანაში...
და იღიას სწამს, რომ
ისტორიის წინსვლას, ჩა-
გრულების განთავისუ-
ფლებას მაინც ვერაცე-
რი დაუდგება წინ, ძვე-
ლი ქვეყანა ვეღარ გა-
უძლებს განახლების
გრიგალის ქროლვას, ბო-
რკილები დაიმსხვრევა,
გამეცდება ძმობა, ერ-

თობა, თავისუფლება და
დამკვიდრდება შრომის
სიხარული...

დუშეთიდან თბილი-
სში იღია გადმოვიდა
მხოლოდ 1873 წელს,
როცა ქართული ბანკის
დაარსება გადაწყდა. ბან-
კის დაარსება პირველად
ცნობილმა საზოგადო
მოღვაწემ დიმიტრი ყი-
ფიანმა განიხრასა.

ბავშვებო! მთაწმინ-
დის პანთეონში თუ ყო-



უილხართ, უთუოდ ნახა-
ვდით დიმიტრი ყიფიანის
საფლავს. აკაცი წერეთე-
ლმა დიმიტრი ყიფიანს
უძღვნა ლექსი „განთია-
და“, რომელიც ალბათ
ყველამ ზეპირად იცით...

როცა ბატონიშვილი
გადავარდა და მთავრო-
ბამ გლოები ყომბისაგან
გაათავისუფლა, ყოფილ
ბატონებს—მემამულე-
ებს გარკვეული თანხა
მისცეს. და აი, დიმიტრი
ყიფიანმა დაითანხმა თა-
ვადობა, რომ ამ თანხის
ნაწილი ქართული ბანკის
დასაარსებლად გადაე-
დოთ.

რისთვის იყო ხაჭირო
ბანკი? ის უნდა დახმა-
რებოდა ყველა ეროვ-
ნულ საქმეს.

ქართული ბანკის სა-
თავეში, როგორც მაშინ-
დელი საქართველოს
ყველა თვალსაჩინო და
საქვეყნო საქმის სათავე-
ში, ილია ჩაუენეს, რაღ-
გან მისი ხეროვნათ, აფა-
სებდნენ მის ცოდნას, გა-
მოცდილებას, გონებასა
და სიღარბაისლებს. თუ
საქმეში ილია ერთა, ეს
იმას ნიშანადა, რომ ეს
საქმე ჩვენი ქვეყნისა-
თვის გამოსადევი იყო და
სარგებლობას მოუტანდა
მას.

ბანკის დასაარსე-
ბლად ნებართვა რომ აე-
ლო, ილია 1873 წლის გა-
ზაფხულზე ჯერ მოსკოვს

გაემგზავრა, მერე პე-
ტერბურგს და ამ საქმეს
ერთი წელი მოანდომა.
რუსეთში ყოფნის დროს
მან გაიცნო შემდგომ დი-
დი ინგლისელი დრამა-
ტურგის, უილიამ შექ-
სპირის ქართულ ენაზე
მთარგმნელი, ქართველი
ჭაბუკი ივანე მაჩაბელი.
ილია ინგლისური ენის
შესწავლას შეუდგა და
მაჩაბელთან ერთად თარ-
გმნა შექსპირის „მეფე
ლირი“.

თბილისში რომ ჩამო-
ვიდა, 1875 წელს, ილია
ქართული ბანკის თავმ-
გდომარედ აირჩიეს და
ოცდაათი წელი ხელმძ-
ღვანელობდა მას.

ქართული ბანკი ხში-
რად ეხმარებოდა იმ სა-
ზოგადოებას, რომელიც
ქართველებში წერა-კი-
თხვას ავრცელებდა, ეხ-
მარებოდა ახლადუება-
გმულ ქართულ თეატრს,
თავისი შემოსავლით ინა-
ხავდა ქართულ გიმნაზი-
ას, წინამდლრიანთკარის
სასოფლო-სამეცნიერ
ჟოლობას...

დიდი ამაგი დასდო
ილიამ „ქართველთა შო-
რის წერა-კითხვის გამა-
ვრცელებელ საზოგადო-
ებას“, რომელიც 1879
წელს დაარსდა. იგი ჯერ
მისი გამგეობის წევრი
იყო და მერე, გარდაცვა-
ლებამდე, — მისი თავ-
მჯდომარე.

წერა-კითხვის გამა-

ვრცელებელი საზოგა-
დოება მფარველობდა
სკოლებს, აგროვებდა
ძველ ქართულ ხელნა-
წერებს, მანვე ჩაუყარა
საფუძველი ქართულ მუ-
ზეუმსაც. როცა საზოგა-
დოებას გორძის ბიბლი-
ოთეკა შემოსწირეს, გა-
ხარებული ილია თვითონ
გაემგზავრა სამეგრელო-
ში, სამეგრელოს მთავ-
რის საზაფხულო სასახ-
ლეში, სადაც ის ბიბლი-
ოთეკა იყო დაცული.
მისი ხელმძღვანელობით
წიგნები და ხელნაწერები
აღნუსხეს, ყუთებში ჩა-
ალაგეს, ჭორებს აპიდეს
და ქუთაისამდე ჩამოიტა-
ნეს, რომ მერე თბილისში
წამოელოთ. ქართველთა
შორის წერა-კითხვის გა-
მავრცელებელ საზოგა-
დოებას დაუტოვა ბო-
ლოს ილიამ მთელი თა-
ვისი ქონება—თბილის-
ში, ყვარელში თუ სა-
გურამოში, და მთელი
თავისი ლიტერატურულ
ი მემკვიდრეობაც.

1877 წელს ილიამ
შეძლო ფრთა შეესა თა-
ვისი სანუკვარი ოცნები-
სათვის — დაერსებინა
ყველკირეული გაზე-
თი „ივერია“. ორი წლის
შემდეგ გაზეთი უზრნა-
ლად გადაეკეთდა, ხოლო
1886 წლის პირველი იან-
ვრიდან ყველდღიურ
გაზეთად იწყო გამოს-
ვლა.

შეღას თავისი აღვალი ჰანი



დავით ჯავახიშვილი

განცი

არსებობს ქეყნად განძი —
— ცოდნა, მომცველი ერვლის...
რა აჩენს ცისარტეელას?
რისგან შედგება თოვლი?
რად გაიელვა ცაში?
რატომ გავარდა მესი?
რამ დამწიფა ეანა?
რატომ ასხობენ ლითონს?
როგორ აღნობენ ლითონს?
როდის უბერაჟს ქარი?
რას ნიმნაჟს სიტეპ „ხვითო“?
რა არის მინანქარი?
კინ ცხოვრიბს ზღვების ფსერზე?
რა ხდება მიწის შიგნით?...
თუ შეივარე, გეტშვის
ამას ეველავერს
წიგნი.

გზაზე შემომხვდა ქრთი სოფელი,
უფრო კი — ნასოფლარი,
თრდობებში იდგა სიჩუმე,
სახლებში სტეპენდა ქარი...
სოფლის სიდიდეს ძველად ზომავდნენ
ცაში ასული გამძლით.
გმთენისას ზედას ბზარავდა
ეივილი ასი მამლის.
დღეს რადა ხდება? ქალაქისაკენ
მაუწვეს ეველას გული
და ძლიერ სოულობს თვისთავს კაცი,
ჭრელ ბრბოში ჩაქარგული.
მოგარე კი გვლავაც ანათუბს ბილიქ...
ეკავილი სურნელს აქმევს...
ეველას თვისი ადგილი შვენის,
ეველას — თვისი საქმე.





ჩაიში განერალი პაპა

ნოდარ კიამლიძე

გაღმა-გამოლმელ სოფლის ბიჭებს მწვანედ აბიძინებულ მდელოზე თავი მოეყარათ და ცხარედ კამათობდნენ.

— მე არ ვიცი, ძმათ! — ხმამაღლა გაყვირთდა გაღმითა სოფლის მკვიდრი, ჰარაქა-შვილების გიგი, — კიდევ რომ თვალი დაგვკრა ჩვენი სოფლის ბაღ-ვენახებში თქვენს აბეზარა თხებს, გამეყმშვილობეთ!

შეჰქვენენ, შეჰქვენენ ბიჭები და ბოლოს წაკინ კლავდნენ კიდეც.

— მოიცათ, ბიჭებო! — ჩაილაპარაკა ლევანმა, — ეგრე რა გამოვა, არ ჯობადა დაგხსედეთ და წესიერად მოვილაპარაკოთ?

— არა! — მტკიცე უარი განაცხადა გაღმელმა გიგიმ, — ბევრიც ვიღაპარაკეთ, მაგრამ არაფერი გამოიღის! — მერე კეფა მოიქექა, — მოდით ვიჩებოთ! და ვინც გაიმარჯვების, იმან მწერესთვის ორივე სოფლის თხები, კარგი?

— ვიჩებოთ? — გაოცებით მიაშერდა ლევანი ჰარაქა-შვილების გიგის, — ცანცარა თხების გულისოფებს ერთმანეთს გადავეკიდოთ?

— ჰა, ჰა, ჰა! — ჩაიქირქილა გიგიმ, — რა

კურდღლებით დაფრთხნენ, ევ!

ბიჭებმა ერთხანს კიდევ იდავეს, და ბოლოს შეთანხმდნენ, ხვალ აქვე შეხვედროდნენ ერთმანეთის და ეჩებათ.

საღამოს ლევანი უგუნებოდ დაბრუნდა შინ და კვლაუდერი პაპას უაბთ.

— მაშ ჰარაქა-შვილების ბიჭია ჩხუბის თავი? — შეათვალიერა ნიკო პაპამ შეილიშვილი.

— ეგრეა და! — მხრები აიქნია ლევანმა, — ვერომა ვერ გადაათქმევინა!

მეორე დღეს, როცა ლევანი დაოთქმული ადგილისაკენ გაეშურა, ნიკო პაპამ თავისი სამხედრო ტანსაცმელი მოსთხოვა ბებოს.

— ნააგადმყოფარს კიდევ გაციება გინდა? — შეიცნადა ბებომ.

— სერიოზულ საქმეზე მივალ, ჩქარა ამოაწყე!

*

გაღმელ-გამოლმელი ბიჭები უკვე საჩხუბრად იყვნენ გამზადებული, როდესაც ერთერთმა დაიძახა, შეხედეთ, ბიჭებო, გენერალი მოღის!

ბიჭები გაშემდნენ.

— ბიჭო! — წამოიძახა ლევანმა, — პაპა-ჩემი მოღის, ეე!

ნიკო პაპამ ყველას საერთო სალაში მისცა.

— გამარჯობა, ყმაწვილებო! — უთხრა და მხედრულად მიესალმა.

— გამარჯობა! — ერთხმად უპასუხეს ბიჭებმა.

ნიკო პაპამ ხელები ზურგსუკან დაიწყო და გაშეშებულ ბავშვებს აუჩქარებლად ჩაუარა.

— შენ რა გქვია, ბიჭუნი? — შედგა ნიკო პაპა ერთ-ერთი «ჯარისკაცის» წინაშე და ნიკაპზე ხელი მოუთათუნა.

— დათო! — დაბრულულად მიუგო ბიჭმა და წელზე ჩამოკიდებულ «ხმალს» ალმაცერად დასხდა.

— ეს კარგი ხმალი პაპამ დაგომზადა? — სადავეს ხელი შევალო ნიკო პაპამ.

— არა! — თავი გააქნია ბიჭმა, — მე თავად გამოითალე, პაპაჩემი ფრთნიტზე დალუ-ჟულა.

— პაპაშენი სადღაა, შვილო? — ახლა მეორე ბავშვს მიუბრუნდა ნიკო პაპა.

— არც მე მყავშ პაპა! — ხმა გაებზარა ბიჭმე, — სამაცულო ომში წასულა და ალარ დაბრუნებულა, ეგრე მიამბო მამაჩემმა!

ნიკო პაპა ახლა ჭარაქაშვილების გიგის წინ შედგა.

— შენ ჭარაქაშვილებისა არა ხარ?

— დაახ, გივი მქევია! — თავი ჩაშხარა ბიჭმა და ფეხსაცმლის წვერით მიწას ჩიჩქნა დაუწყო.

ნიკო პაპამ ბიჭის მხარზე გადაკიდებულ თოფს შეავლო თვალი და გაიღიმა.

— ჰოი, მაშ ჭარაქაშვილებისა ხარ? — წამით ნიკო პაპჩი ცას აპერდა, — თითქოს იქ ვიღაცას დაექცეოთ, და მერე განაგრძო, — აი, მე და პაპაშენი კი ფრთნიტზე ერთად, მხარდასარ ვიბრძოდოთ. მამაცი და შეუპოვარი მეტროლი იყო, პოლკის თვალი და სიამაყე, მერე ბელმა უმუხლოდა, გმირულად დაიღუპა ბრძოლის გველზე. მაშინ სამშობლოს უჭირდა, მტერს ვებრძოდით...

აქ მცირე პაუზა გააკეთა ნიკო პაპამ, ღრმად ამთიოხრა.

— ერთიმანეთობა რა გაქვთ საჩქებარი?! — ვვდლას გასაგონად იკითხა.

ხმა-კრინტი არავის დაუძრავს. ლევანმა პაპას ხელი ხელზე მოუჭირა.

მოულოდნებლად ჭარაქაშვილების ვავიმ «თოვითი» ჩამოისხსნა და ჯაგებში ისროლა, მერე ცრემლიანი თვალები მჯიდებით ამოიმ-ზრალა, ადგილიდან მოწყდა და ლევანთან მიიჭრა. გალმელ-გამოლმელებმა «იარალი» დაყარეს და ერთმანეთს გადაეჭვინენ.



აქა ამბავი

გავას სიზმრის ახლენისა.

ანუ

**„არა შეჯდა მწყერი ხასა,
არა იყო გვარი მისი“**

ავთანდილ გურგენიძე

ახმაურდა მაღვიძეარა:

— სკოლისაჲენ, ბეჭე, ჩქარა!
წამოიტრა ბიჭი ჟეზე,
გამოგარდა გარეთ, მზეზე...
დაიბანა ხელი, პირი,
მერე ხწრაფიდ შეიმშრალა
და გასხახა, — ტანსაცმელი
მომართვითო, აბა, ჩქარა!

რა ქათქათა ჟერანგია,
დაუშვენა ბანტმა ეელი!

ეს — ლამბზი ჭრელი წინდა,
ეს — ახალი უესაცმელი!

გადაიცვა შავი ფრაკი,
ლამბის შერცხალს დაემსგავსა.

ამისთანა სილამაზე
არ მოუვა არგის აზრად.

ბეჭე ბიჭმა გაიღიმა
და თვალები გაბარწევინა,

როცა მამამ მიაწოდა
კიოლინო პაწაწინა.

დედამ ნაზად გადაკოცნა,
მოუფერა, თან დალოცა.

აცილებენ მეგობრები:

— დო, რე, მი, ფა, სოლ; და, სი...
თან გზადაგზა უმდერიან:

— ბეჭე მიდის სკოლაში!..

*

დიდ დარბაზში შეკრებილა
საგამოცდო კომისია.

ბეჭე ბოლოს გაიძახეს,

/შეეძალათ, მგონი, სია!/.
გადახედა დათვმა მელას,

ბულბულმა — ჰაშვენ, ჰაშვენ — ტურას...

გაიფიქრეს: — „რა ლამაზად

ახატულა, ჩახატულა!“ —

გაუდიმეს, დაძმვიდეს,

გაამნევეს პაწაწინა:

— ჟენ იქავი, ღელის პირას

რომ მდეროდი ამას წინათ?

არ აღელდე, ბეჭე ბიჭო,

არაფერი აურიო,

მთელი ძალით გამოხატე

ნიჭი მუსიკალურიო...

— ეს რა არის? — კიოლინოს

მიუთითა ტურამ დინჯად:

— რა არის და... პიანინო! —

უხასუხა ბეჭე ბიჭმა.





— ეს რაღაა? — შიანინოს
გაუშვირა დათვემა ტორი...
— აღარც მახსოვეს კარგად, მგონი
ჩანგია თუ საქსაფონი!
გაედიმათ, იხურჩულეს...
ბეჭე ფირწობს: „— ეკელა მაჭებს,
შექარეულეს მაჩუქებენ,
კარგად მიდის ჩემი საქმე“.
ბულბულმა თქვა: — ხმაც გავსინჯოთ,
შენ ეკელი მოიღერეთ,
და რა იცი, სულ ერთია,
შენებურად გვიძლერეთ...
ბეჭებ ერთი ბიჭი წადგა
და მთელი სმით აღრიაღდა:
„მე ჰატარა ბეჭე ვარ,
გამოვდივარ სცენაზე,
რა დორს ჩე-მი სიმ-დე-რა-აა,
ჰა-ტა-რა ვარ ეპე-ლა-ზე!...“
და რაც მოხდა, უცებ მოხდა,

/ არ ვტეუვივარ ამას, არა! /
ბეჭეს ხმისგან მინა გასკდა
და ქედლები გაიძარა...
ჩამოცვივდა გაჯი, / სილა,
/ რა ლამაზად ჩანდა უწინ/,
ატედა ერთი რახარუხი,
ატედა ერთი ლაწალუწი...
რაღა ბეგრი გავაგრძელო,
მოგახსენებთ ბარემ:
როგორც იქნა, კომისიამ
მლიერს გასწრო გარეთ.

*

გარეთ წვიმდა, ცას ღრუბლები
შავად ჟეთნდა გაკრული.
მოაბოტებს ბეჭე ბიჭი,
გაჯძი ამოგანგლელი...
სახლში მამამ დაამშვიდა, —
შენც ივარგებ შვილადო,
ნუ იდარდებ, დაწექი და
დაიძინე ტბილადო.

*

თუ გსურთ გითხრათ მართალი,
ამაზეა ნათქვამი:
გური უნდა გამოაწეოს
გამოცდილმა საბაზმა;
უეხსაცმელი უნდა ქერთს
მეჩექმებ თუ სარაზმა;
სიძლერა ეი — ბულბულის და
შეფი შეძვის არის საქმე,
არწივი რომ შეეცილოს,
გაგონილა, განა, სადმე?
ჰოდა, თუ გსურთ მართალი,
ამაზეა ნათქვამი:
— თავის საქმე თსტატიჭით
ქვეუანაზე არვინ იცის, —
არა შეჭდა მწერი ხესა,
არა იუო გვარი მისი!


ალექსანდრე ღილავაშვილი შერმტკის მახა თება

ზარმტკის ქანა თქვა,
სცოდნები მცინარი,
ქვემისან არავინ მინავას,
მოხუცნელს ჰქონდა ონავრის.
არა მხდარი ვინგეს არადა,
არა რკავის ლარის ჯედასა, —
მარტლებს რომ უკა გრძოვნის,
გულავის მცველებს და მხევნისა.
არა უტებორინდ ნათობს მსეუ,
ოუ მასწავლი მას და ახლავენს,
მარტოხუც ვერ გატებლება,
ვარსკვლავიც ერთად სხლობენ.



არამაღლი პირა

მთამი გვევები
ჩემს მთამსვლელ ძიას,
ჩვენიცებ ვერწე
მთეურ წრიაპს,
მიის დაცრობა სჭობს
კუნიძი წრიალს,
ვნახავ მწევრებადზე
აღლების ბრიალს...
აყილით ერთად
სჯაისვე სრუბს,
ძირს გამოტკედავთ
თაბაოვის ფერებს,
ერთად დაგლაძერავთ
მწერვალი წვერებს,
და ცნს შეახებ
პარარა ხელებს...
უკი ფერთ ვიცაშ
მთამსვლელს წრიაპს,
მავევები მთამი
უძიპარ ძიას.



თენის ლოროვიანი


გამოხი ავო
რიტენი ჟეშელია, —
ფიტენისმ ჰეტარა აკო, —
გამას ვთხოვ, ინებ მიერდოს
ჟედელიანი აქტო.
ჟეტენი ჰერის ნატენებს
ავტომი ჰერის სიტენებს, ჰერი,
ჩავრინ, სოფლიანებს, ჰერი,
მორხებს და ვატებს სტერები.
ნაკეში ნარტენი.



პიშვარი დ საპაპი

მარი მარი არღოოზა


რაჭიძი, სადაც ურიცხვი
თვალშეუგადი მოჟაია,
აქ მხეთას დაბადებიდან,
ჩემი უუდევთა პებია.
ზაფხულში, როცა ღროებით
შეწევამეტი წერალებს ზარებია,
ერთ დღეს არ გაღავაცილებ,
იქითენ გავეგმიარებო.



გიორგი გრიგორევალი

სოფელში

ძღიუერ მოქმენატრევთა,
ბებო წერილებ ბეწერდა
და წაგებდი ხოუელდები
უცროს ძმასთან ურთად.
მაუშეარეუ თორივებ
ეზოს, ბოსტანის, ბაზარის,
დაბატურენდით და ბებია,
ისეც მარტო დარჩის!



ბიჭი.

როგორი. რომელიც ჩოქინას სამოგავდა და პოზოლა

კარლო ტაბათაძე

ბიჭის ძალიან უყვარდა წიგნების კითხვა, ჩხიტრედელაობაც ეხერხებოდა. ჰოდა, ერთხელაც, გადაწყვიტა გაეკეთებინა რობოტი — ისეთი ჭკვიანი მანქანა, საქმეშიც რომ დაეხმარებოდა და მეგობრობასაც გაუწევდა. დიდი შრომისა და წვალების შემდეგ, სკოლის ამხანაგებთან ერთად, მან მართლაც შექმნა რობოტი.

რობოტი დადიონდა, საქმიანობდა, თავისებურად ლაპარაკობდა კიდეც... თავზე უურებივით ორი გრძელი ანტენა ჭრინდა და ძალიან ჩამოგავდა პატარა სახედარს. ამიტომაც ბიჭი მას ჩიკინა შეარქვა.

— ჩიკინა, ჩანთა წამომიღეო! — დაუძახებდა ხოლმე, და რობოტსაც ჩანთა მოქვენდა. თუ ბიჭი დაავალებდა, დედიკოს მოეხმარეო, დაუზარებლად ეხმარებოდა: იატაცა აპრიალებდა, ჭურჭელს რეცხავდა... თუ ბიჭი ეტუნდა, — ჩიკინა, ამოცანა ამომიხსენიო, იმასაც უმალ ამოუხსნიდა. მაგრამ რობოტმა არ იცოდა მეგობრობა, არც სიყვარული იცოდა. არ იცოდა, რა იყო ერთგულება და სიმამაცე. არ იცოდა, ვინ იყო ცალკენტელა და ლაჩარი, არც ყოფლობინები და მაბეჭდარები ენახა. ბიჭი სულ ერთსა და იმავეს ჩასიჩინებდა: უნდა არჩევდე ავსა და კარგსაო. მაგრამ რობოტი ხომ ცოცხალი არსება არ იყო, ის მხოლოდ იმას ასრულებდა, რაც მეხსიერების ბლოკში ჭრინდა ჩაწერილი და რასაც კომპიუტერი კარნახოდა.

ერთხელ, როცა ბიჭი სკოლაში იყო, რობოტი ქუჩაში გავიდა და გზას დაადგა. ერთ დიდ ჭიშკარს მიადგა და ეზოში შეიხედა. ამწვანებულ მინდორზე ძროხა და ბოჩოლა ჭიდაობდნენ, ერთმანეთს უბლებით აწვებოდნენ.

— უი, დედიკო, მგელიო! — დაიძახა

შეშინებულმა ბოჩოლამ და ჭიშკრისაკენ დაიწყო უურება.

— არა, შვილო! — გამოიხედა ძროხამაც. — ეს მგელი არ არის, ეს ჩიკინააო.

— მე ჩიკინა არა ვარ, მე რობოტი ვარო! — თქვა რობოტმა და ეზოში შევიდა.

— რობოტი ვინდა არისო? — გაოცდა ძროხა.

— ჭკვიანი მანქანა ვარ, რასაც დამავალებთ, უველაფერს შევასრულებო.

— აუხსნა რობოტმა.

— უი, რა კარგიაო! — იყვირა ამის გამგონე ბოჩოლამ.

— თუ საჭიროა, როულ მათემატიკურ ანგარიშებსაც ჩაგატარებ, შემიძლია ხატვაც და სიმღერაცო. — განაგრძო რობოტმა.

— თუ ასეა, დაითვალეთ, გეთაყვათ, — სხვოვა ძროხამ. — რამდენი ბოთლი რებ უნდა მოვიწველო, თუ სამი ბოთლი საბავშვო ბალს უნდა გავუგზავნო, ერთი ბოთლით ფაფა უნდა მოვაღულო, ხუთი





ბოთლიდან უკელი უნდა ამოვიყვანო, ორი ბოთლიდან მაწონი შევადედო, ხოლო ნახევარი ბოთლი ბორილამ დალიოსო?

— თერთმეტი ბოთლი და ნახევარიო! — უპასუხ უმაღლ რობოტმა.

— მაშინ იქნებ ბორილასთან დარჩეთ, ივარგიშოთ, მე კი საბალახოდ წავალო.

— დარჩი, არ გაგაბრაზებო. — ჩაილაპარაკა მორცხვად ბორილამაც.

— კრიგი, დავრჩებიო. — დაეთანხმა დედა-შვილს რობოტი.

ძროხამ საწყვარაწამოცმული ბოთლით რე მოიტანა, რობოტს გადასცა, — თუ ბორილს მოშივდა, დაალევინეო, და საბალახოდ გაეშურა. როგორც კი ძროხა ეზოდან გავიდა, ბორილამ აიწყვიტა, კუდი აიპრიხა და ეზოში წინ და უკან სირბილს მოჰყვა, თან რობოტს უხმობდა: — მოდი, სირბილში გამეჭიბრეო!

— მე სირბილი არ ვიცი, თუ გინდა, მათემატიკაში გავარჩიშებო! — უპასუხ რობოტმა.

— არა, არ მინდა! მეჭიდავეო, — შე-

ხდახა ბორილამ, თავი დახარა და გამოქანდა.

— მე არც ჭიდაობა ვიცი, მოდი, გეოგრაფიაში გამეცადინებო, — გაერიდა რობოტი.

ბორილამ ისევ შემოურბინა ეზოს და ტრაბას მოჰყვა: — ძალიან ძლიერი და ნებიერა ვარ, მამაჩემს ვვავარ, მოდი, შუბლებით მივაწვეთ ერთმანეთსო.

რობოტმა კი რძით სავსე ბოთლი აილო და გაუწოდა, უკვე დროა, დალიეო.

— არ მინდა, მე რძეს არ ვსვამ, გადაჭიდეო. — თავმომწონედ თქვა ბორილამ.

რა უნდა ეწენა რობოტს? ის ხმა ბრძნებებს ასრულებდა. ჰოდა, წამოაძრო ბოთლს საწყვირა და გადააპირებავა.

— ახლა კი მეჭიდავეო, — თქვა ბორილამ და რობოტისკენ გამოქანდა. რობოტმა ზურგი უჩვენა, ბორილა რობოტს მთელი ძალით შეეგახა და რაკი რობოტები რეინისები არიან, ბორილას დრუნხი მწარედ ეტყინა და ალრიალდა.

ამასობაში ჭიშკარს ძროხა მოადგა, ატირებული ბორილა რომ დაინახა, შეიცხადა: — რა მოხდა, ვინ გცემაო?

— რობოტმა მცემაო! — შესჩივლა ბორილამ.

— რა დაგიშავა ბორილამო? — აღშფოთდა ძროხა.

— რძეც გადააქცია, არ დამალევინაო! — ფშლუკუნებდა ბორილა.

„მე ჭივანი და დამჯერე რობოტი ვარ!

— დაიწყო ფიქრი რობოტმა, — ბორილა კი ყოფლობინა და მაბეჭდარა ყოფილაო!“

— დაასკვნა და ჭიშკარს მიაშურა: — შენთან ვერ ვიმეგობრებო! — მხოლოდ ესლა თქვა.

— დარჩი, ალარ გაგაბრაზებო! — დაედევნა ბორილა, მაგრამ რობოტმა მისი თხოვნა ალარ შეასრულა, მესხიერების ბლოკში კი სამუდამოდ ჩაიწერა: ბორილა ყოფლობინა და მაბეჭდარა, ასეთებს უნდა ერიდო, ვიდრე არ გამოსწორდებიანო!

საზეიმოდ მორთული სპორტული დღ-
რბაზი ბავშვებით იყო გაჭედილი. მას-
წავლებლები ბავშვებს ლექსების სათქმე-
ლად ეპატიულებოდნენ. პატარა გოგო-ბი-
ჭები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. უეც-
რად დარბაზში სიცილ-ხარხარი ატყდა,
ბავშვების წრეში ომახიანი ყეფით შემო-
იტრა ბურთივით მრგვალი, თეთრი ძალი
და ვილაც ონავრის მიერ კუდზე მიბმული
თუნექის სათამაშო მანქანა ხმაურით შე-
მოაგორა. ნინიკოს სუნთქვა შეეკრა. ჰო,
საკიორველებავ! ეს ხომ მისი ბუთხუზა
იყო! რაც უფრო გარბოდა ძალი, მით
უფრო ხმაურით მისდევდა მას მანქანა. ნინიკოს ისე შერცხვა ძალის საქციელი-
სა, რომ თავი მოიკატუნა, ვითომ არც კი
იცნობდა.

სიცილ-ხარხარში ბუთხუზამ ხმაურით
შემოურბინა წრეს და როგორც იყო, მან-
ქანა ჩამოიცილა. მერე უკანა ფეხებზე და-
დგა და პატრონის ძებნა დაიწყო. ნინიკო
რომ დაინახა, მისკენ გაქანდა და ჰედ
შეატა.

ნინიკო მისვდა, რომ ბუთხუზა მას სა-
ხლიდანვე გამოედევნა და უკმაყოფილოდ
შეაცემარდა მეგობარს. უცებ ბუთხუზამ
კატის ნიღბიან ბიჭს მოკრა თვალი, მისკენ
გაქანდა და უეცა დაუწყო. ბიჭმა ნიღაბი
მოიხსნა და ძალს გადაუგდო. ბუთხუზამ
ერთი-ორგერ გაპრა თათი ნიღაბს და შერე
ისევ ნინიკოსაკენ გაიქცა. ამის შემხედვა-
რე პატარებმა ერთი უივილ-ხივილი ატე-
სეს.

ზეიმი გრძელდებოდა. ბავშვებმა
ახლა სიმღერა წამოიწყეს. ნინიკოს ფე-
ხებთან ჩაცუცქულმა ბუთხუზამ მაშინვე
უურები დაცვიტა, შემდეგ უკანა ფე-
ხებზე დადგა, კისერი წაიგრძელა და თვი-
ონაც სიმღერას აჰყა.

მოსწავლეების ხმებში იმდენად გამო-
ირჩეოდა ძალლს გაბმული „სიმღერა“,
რომ ბავშვები გაჩუმდნენ და ძალს მი-
აჩერდნენ, შემდეგ კი ტაშის გრიალით
დაგილდოვენ.



მოაღესალი ძალლი

ეთორ ითხავ

როგორც იყო, ნინიკოს ოცნება შე-
უსრულდა. მშობლებმა დაბადების დღეზე
თოვლივით ქათქათა, გრძელებწვა ლეკვი
აჩუქქეს. გოგონამ პატარა ცუგოს ბუთხუზა
დაარქვა და გვერდიდან ალარ იცილებდა:
აჭმევდა, ასმევდა, უვლიდა და ასწავლიდა
ყველაფერს, რისი შესწავლაც ძალს შე-
ეძლო.

ნინიკომ რომ სკოლაში სიარული და-
იწყო, ბუთხუზა უკვე ჭიკვიანი და დამჯერი
ძალი იყო. ორ ფეხზე სიარულიც კი
იცოდა, ხელის ჩამორთმევაც და, წარმოი-
დგინეთ, მუსიკალური ნიჭიც აღმოაჩნდა.
სიმღერას რომ გაიგონებდა, ჭერ გაინაბე-
ბოდა, შემდეგ უკანა ფეხებზე დადგებოდა
და ხმას ააყოლებდა.

სკოლებში საზაფხულო არდადეგები
დაიწყო. ნინიკო დღესასწაულზე წასას-
ვლელად ემზადებოდა. დილით ადრე ად-
გა. ვარდისფერი, ფართუაშა კაბა ჩაიცვა,
წითელი ფეხსაცმელები მოირგო, მერე
ბუთხუზას აჭამა, დაარიგა, უჩემოდ არსად
წახვიდეო და სკოლისაკენ გასწია.

ჯ ს უ ლ ა მ ა მ ა

გივი გლეხიშვილი

სანქტი პოლი

ბავშვებო, ოქვენ კარგად იცით, რომ
ამ ზამთარს საქართველოს დიდი სტიქი-
ური უბედურება დაატყდა თავს. წყალდი-
დობამ, მეწყრებმა და ზვავებმა დატბორა
და დაზიანა ბევრი ჩვენი დაბა თუ სოფე-
ლი.

განსაკუთრებით დაზარალდა ჩვენი სა-
მშობლოს ერთ-ერთი თვალწარმტაცი კუ-
თხე — სვანეთი, რომელიც კავკასიონის
მაღალ, მარად თოვლიან მწვერვალებს
შორის მდებარეობს.

ულამაზეს სოფლებში — მულასსა და
უშულში ზვავებმა წალეკეს ყველა ნა-
გებობა, რომელიც კი მათ წინ გადაელო-
ბათ. მაგრამ სწორედ აქ მოხდა ერთი სა-
ოცრება, რომელსაც არავინ ელოდა!

გამანადგურებელმა ზვავებმა ძვრაც
ვერ უყვეს უძველეს სვანურ კოშკებს,
ერთი ჭვაც კი ვერ გამოაცალეს მათ...
რატომ?

როგორც ჩანს, მარად ზვავსაშიშ ადგი-
ლებში მცხოვრებმა სვანთა წინაპრებმა
საუკუნეთა მანძილზე მთახერხეს შეექ-
მნათ ისეთი ნაგებობები, რომელთაც არა-
თუ მომხვდლური მტერი, თვით უმდგინვა-
რესი სტიქიაც კი ვერაფერს აკლებდა...

აღნათ ამიტომაც შეარქვეს ძველმა
ბერძნებმა სვანეთის მკვიდრთ მოსინიკე-
ბი, რაც მათ ენაზე კოშკებში მობინადრე-
ებს ნიშნავს.

ამჟამად სვანეთში ხუთასაშადე კოშკი
და კოშკის ნაგრევია აღნუსხული. ისინი
ძირულად განსხვავდებიან მთის სხვა არ-
სებული კოშკებისაგან. ეს მაღალი შენო-
ბები ითხ ან ხუთ სართულიანია და აგე-
ბულია მტკიცე ჭვიტკირით. პირველ სარ-

ხახტვარი გიორგი რობილიშვილი

თულებზე სამეურნეო და საცხოვრებელი
საზაფხულო იყო მოწყობილი, ხოლო ზედა
სართულებზე საოვალოვალო და საბრძო-
ლო ოთხები იყო განლაგებული. კოშკებს
სახურავები ქვისა ჰქონდა.

განსაკუთრებული სიმაღლით გამოიჩ-
ჩევიან საყარაულო კოშკები, საიდანაც
სამშობლოს მოყვარული მედგარი სვანე-
ბი ფხიზლად დარაჭობდნენ უღელტეხი-
ლებს, რათა იქიდან მტერი არ შემოჭრი-
ლიყო საქართველოში.



მემთხვევა გადასასვლელი

უორთა აპირანაზვილი

ცეროდენა ბალდები
ნათია და მინდა,
კოხტად გამოწეობილან,
სასეირნოდ მიდიან.
სასეირნოდ მიაღენენ,
გადასასვლელს შარანი,
წითლად ელავს ფარანი,
გამელელები იცრიან,
არ გადადის არავინ.
არ გადადი, ერთი შესედეთ
მარტო, ერთი ჰაწევის,
ცეკვუმელი ჩაწევის,
ააღირეს თავები,
არხეინად გასწიეს.

და უკრძად აღმოხდნენ
მანქანების აღუაში,
აირია ქვეება,
ატედა ერთი განგაში,
ბაგჟეგებს საცროტე ელოდათ,
რაღა დასამალია,
ბიღებ ქარგი, მძლალებები
უოჩაღებს ძალიან...
ჰოდა, ქარგბდ გახსოვდეთ,
მინდია და ნათია:
გზა ხენილია, როდესაც
მწვანე შუქი ანთია.

ლეგა ლრეგალი

გურიაშვილი, ერისთავი, კლასიცი.

გაჩნდა თუ არა ლეგა ლრუბელი, მაშინ
ცვე ცას, მდელოსა და მზეს შეხედა და
იყითხა: — ხომ ლამაზი ვარ?

— მართლაც შშვენიერი ხარ და მომ-
ხიბლავი, — მიუგეს მას.

— ო, როგორ მინდა ქვეყანა მოვიარო,
მე ხომ ჯერ არაფერი მიხილავს!

— მერე ვინ გიშლის? — გაიკვირვა
მდელომ.

— აბა შენ იცი! — წააქეზა მზემ.

თავდაპირველად ლეგა ლრუბელმა
ტბაში ჩიხხდა, წყალში არექლილ ხეებს,
სახლებს და მთებს მოავლო თვალი, მერე
ბალებისაცენ გახსწია. მიცურავდა და ხე-
დავდა, როგორ ეცვეოდა ფუტკრების გუნ-
დი დამსკდარ კვირტებს და ლამაზ ყვა-

ვილებს.

შემდეგ ჩანჩქერს წაადგა თავს და წყა-
ლში მოფართქალე თევზები დალანდა,
ბილოს ტყისპირს გაუყვა და შრიალის
ხმა შემოესმა. ეს ქარი იყო, ხის კენწე-
როებს ეთამაშებოდა.

ლეგა ლრუბელმა ძველი რკინიგზაც
დაინახა, მერე მატარებელიც შენიშნა,
წიწოლა მთავე რომ მიბობდავდა და მე-
ტისმეტი ჭაფისაგან ძლივხდა ქშოტინე-
ბდა.

„ორთქლმავლიდან ამოდიან ლრუბლე-
ბი“, გაიფიქრა ლეგა ლრუბელმა, „მაგრამ
რატომ მანცდამაინც შავი საკვამური-
დან?“

ლეგა ლრუბელი მატარებელს აედევნა

და მოულოდნელად ბავშვების სათამაშო
მინდორს გადაუქროლა. შეცბა — მინდო-
რი გადაუკითლებულიყო, ბალაზი გამხმა-
რიყო.

— მოგვეცი, მზეო, ჩრდილი, — იხვე-
წებოდნენ ყვავილები და ბალახები.

— ძალიან გვცხელა... — წრიპინებ-დნენ ჩიტები.

— ნეტავ იწვიმებდეს... — ოცნებობ-
დნენ ბავშვები.

— როგორ? — გაიოცა ლეგა ღრუბელმა, — როგორ უნდა იწვიმოს?

— მოუხმე ქარს და ღრუბელს, — ურჩია მზემ.

„კეთილი“ — გაიფიქრა ლეგა ლრუბე-
ლმა, „დე, იყოს ასე!“

მალე ქარი ამოვარდა და აცივდა კი-
დე(3).

პატარა ღრუბელი ლამის გაიყინა,
უნებლივდ თვალზე კურცხალი მოადგა და
ატირდა.

ასე მოიყვანა ლეგა ღრუბელმა წვიმა.
ყვავილებმა თავიბი წამოსწიოს. ბათა-

ხები გამოცოცხლდნენ.

ბლენენ და თან წყალს სვამდნენ.
ბაგჟვები უვიოლ-ხივილით დატყაპუ-
ნებლენენ პატარა ტბორებში და წყლის
უხევების აქტ-იქით აწოშებდნენ.

შველანი მადლობას უხდიდნენ ლეგა
ორუბეოს.

— ყოჩალ, შენ კარგად მოიქცი! —
შეაბრ კამ.

— პირველად მოიყვანე წვიმა? —
შეიძლოს მოითხოვ

— ଦୋଷ,— ଉପାସ୍ନିକ ଲ୍ଲେଗା ଲର୍ଣ୍ଣବ୍ଧେଲ-
ମୀ—ଏହି କୋଣାର୍କ ଶିଳ୍ପିଙ୍କାରୀ

აღტაცებული ღრუბლის შემხედვარე
მხესაც გაეცინა და ნაწილმარ კაზე შვიდ-
ფერი ცისარტყელა გამოჩნდა. ეს იყო
უცლაბე ლამაზი ცისარტყელა ამ ქვე-
ნაა.



మాజీ అధికారి గౌరవానికి ప్రశ్నలు విచారించాడు. అందులో కొన్ని ప్రశ్నలు ఇంగ్లీషులో ఉన్నాయి.



ტოროლა

ბორის ჭოროვილი

ველის ტოროლა არც ბუჩქიდან წა-
მოიშუებს თავის სიმღერას და არც ხიდან.
სრიალ-ტრიალით აიჭრება მაღლა და თით-
ქოს რეკავს — „ცას წაგალ! ცას წაგალო!“
— ლურგი უფსერულიდან აფრეკვევს დე-
დამიწაზე გაზაფხულის წერიალა ჰანგებს.
ამიტომ არის, რომ აღმოსავლეთ საქარ-
თველოს მთიანეთში ტოროლას ცას წაგა-
ლას ეძახიან.

სიმღერის დამთავრებისას ტოროლა
ქვასავით ეშვება დაბლა და ნაცრისფერი
ქმნირის ჩევევით მეგორცხლად მიცუნცუ-
ლებს თავის მეგობარ დედალთან, რომლი-
სთვისაც იღვრებოდა ეს ციური სიმღერა...

როგორც უველა დიდი მომღერალი,
ტოროლაც ვერ ეგუება ჭრელაჭრულა მო-
კაზმულობას. მას მეტად სადა სამოსი აქვს
— ნაცრისფერი ბუმბული და მურა წინ-
წელებიანი ზურგი.

გულმოდგინედ, დერო-დერო წნავს
დედალი ბუჩქის ძირას თავის მარტივ ბუ-
დეს. შიგ ბრტყელ ეკალას თეთრ ბუმ-
ბულს ჩააფენს, ორი კვირა კრუხობს ბუ-
დეზი, დებს პ—პ ლია რუხი ფერის და-
წინწელულ კვერცხს. სწრაფად წამოიზ-

რდებიან ბარტყები და 10 დღეში ტოვებ-
ბენ ბუდეს...

...გასულ ჰაფხულს ბეღმა შირაქის გა-
შლილ ველებში მომახვედრა. ყველგან,
სადაც კი თვალი მიწვდება, შორეულ
მტრედისფერ კლდეებამდე, გადაჭიმულია
მწვანე ბორცვთა გრეხილები. თეთრ მძი-
ვებად არის გაფანტული ფერდობებზე
ცხვრის ფარა...

მსუბუქად მივაბიგებ აყვავებულ ვე-
ლზე. აი, შორს უკვე გამოჩნდა ვერხვე-
ბის მწყობრი რიგი, შებუსული ნორჩი ფო-
თლებით. მათ უკან ბარაქიანად, მწვანედ
ლაპლაპებს საშემოდგომო ნათესები, აქა-
იქ ველური უაყაჩოების ცეცხლისფრად
ანთებული ლაქებით...

უცებ მოკაშვაშე ციდან შფოთიანი რა-
კრაკი გაისმის. მოგადოებული ვეძებ თვა-
ლებით მთრთოლვარე წერტილს, და აი
სიმღერის ნაცვლად უკვე საოცარი სტვენა
იწყება. სადღაც, მინცვრის ბოლოს კი,
გაისმის ბალახებში ჩამალული მშიშარა
მწყერის მკაფიო რაკუნი...

აი, აქ შირაქის ველზე მოვისმინე პირ-
ველად ტოროლას გალობა...



კურკეთი კულტურა

ტერმინები


ცუდიან აუსაზავა

თანატოლი ჩეირებია,
ნაირ-ნაირ ფერისანი,
ეკველა ბაგშვის ნატვრა არის, —
იცანი თუ კერ იცანი?



გიორგი გარევალავალი

ბუსუსა მცენარე არის,
ცეცხლის აღივით მწველი,
გაბერე, თუ ბიჭი ხარ და,
აბა, შეახე წელი.



განათლები გიორგი გორგავალი

ტერმინები

საქართველოს აღმა ც. 0-სა
და 3. 0. ლენინის სახმრობის
პონერია ურგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს შრო-
ბალი უმცროსებდასამღმამ-
ზოს.

გამოისახ 1904 წლიდან
ხატ. კა ც. 0-ს გამოიცემულობა.

მოავარი რეაცენი
პეცენ ნიჟარაძე

სარეაცენი კლიენტი დაუარდ აბორ-
ძები, მანი ანთაბ, ანთაბა, ანთა,
ანთი დამიტავილი, ლოსა არამ,
ანთა ლისამარიმ, მაცვალა მაცვ-
ლავისილი, ჯონა ნადირაძე, ან-
ორამი რინიტავისი (სამარგარი რე-
დიცტრიუმი), მოძინა ჩაღავი (კამ-
ბინაძე), მიზი მარავაძე, გარიბ ხარა-
ტივილი.

ტენიკური რეაცენი
პეცენ უმრავილი

მისამართი: რეაცენის, გამოცემულობის,
სერიასი თბილისი, ლეისისი, 14. ტეც:
მო. რეაცენის 93-41-30, 93-98-15;
ა/მგ. რეაცენის 93-10-32, 93-98-18; სამხ.
რეაცენის—93-98-18; განყოფილებე-
ბის: 93-98-19; 93-98-17.

გადავცა ასაწყობად 13.05.87 წ., სენიორ-
წერილი დამატებული 25.06.87 წ., ქადაგ-
დებ ხომ 60×90/7, ფა. ნაბ. უკაც.
2.5, ტიადა 168.000, შეკვეთ №1276

ყდანე ნახარი
სოციო კინემატოგრაფიის

«Дила» («Утро») ежемесячный жур-
нал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского
Республиканского Совета Всесоюзной
пioneerской организации им. В. И.
Ленина для младшеклассников, на гру-
зинском языке.

Отпечатано в типографии издатель-
ства ЦК КП Грузии.

Главный редактор Энвер Нижарадзе
(тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства:
380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.
Объём 2,5 печатных листа, тираж
168.000. Заказ №f276



ამ ნახატებს შორის 17 განსხვავებაა



შეატვარი ნახა იოსელიანი